საია „გაზპრომთან“ გასაიდუმლოებული ხელშეკრულების ძიებას აგრძელებს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2017 წლის 3 თებერვალს, საქართველოს გაზის ტრანსპორტის კომპანიაში განცხადება წარადგენა და ქართულ მხარესა და კომპანია „გაზპრომს“ შორის გაფორმებული შეთანხმების (ხელშეკრულების) შესახებ შემდეგი ინფორმაციის გაცემა მოითხოვა:

- საქართველოს გავლით სომხეთში რუსული გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ „გაზპრომთან“ გაფორმებული იმ ხელშეკრულების (შეთანხმების) ასლი, რომლის მოქმედების ვადაც 2016 წლის 31 დეკემბერს ამოიწურა;

- 2017 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს გავლით, სომხეთში რუსული გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ, ახალი შეთანხმების (ხელშეკრულების) გაფორმების მიზნით, გაზპრომთან წარმოებული მოლაპარაკების ამსახველი ყველა ოფიციალური დოკუმენტის ასლი;

- 2017 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს გავლით, სომხეთში რუსული გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ, გაზპრომთან გაფორმებელი ახალი შეთანხმების (ხელშეკრულების) ასლი;

- კონკრეტულად როდიდან და რა ფორმით ჩაერთო საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია, საქართველოს გავლით სომხეთში, რუსული გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ გაფორმებული ახალი შეთანხმების (ხელშეკრულების) მომზადების/გაფორმების პროცესში, რომელმაც 2017 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს გავლით, სომხეთში რუსული გაზის ტრანზიტი უნდა უზრუნველყოს;

- მონაწილეობდა თუ არა ენერგეტიკის სამინისტრო მოლაპარაკების პროცესში? რა ფორმით გამოიხატა ენერგეტიკის სამინისტროს მონაწილეობა მოლაპარაკების პროცესში? საჭიროებდა თუ არა ხელშეკრულების გაფორმება ენერგეტიკის სამინისტროსაგან თანხმობას?

- ვინ არიან ხელმომწერი მხარეები შეთახმებაზე (ხელშეკრულებაზე) რომელიც „გაზპრომსა“ და ქართულ მხარეს შორის გაფორმდა და 2017 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს გავლით, სომხეთში რუსული გაზის ტრანზიტს ეხება.